ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროგრამის სახელწოდება: ებრაულ-არამეული ფილოლოგია / Hebrew-Aramaic philology

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ებრაულ-არამეული ფილოლოგიის მაგისტრი/ Master of Arts in Hebrew-Aramaic Philology
სპეციალობა: ებრაულ–არამეული ფილოლოგია/ Hebrew-Aramaic Philology

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 კრედიტი, რომელიც სამაგისტრო პროგრამაში ნაწილდება შემდეგნაირად:

- 60 კრედიტი – სავალდებულო კურსები;
- 30 კრედიტი – არჩევითი კურსები;
- 30 კრედიტი – სამაგისტრო ნაშრომი.

სწავლების ენა : ქართული ენა

პროგრამის აქტუალობა და მიზანი:

ებრაისტიკა-არამეისტიკა აღმოსავლეთმცოდნეობის, კერძოდ სემიტოლოგიის ტრადიციული დარგია, როგორც მსოფლიოს წამყვან ორიენტალისტურ ცენტრებში, ასევე საქართველოში. განუზომლად დიდია ებრაული და არამეული ენების მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიისათვის, რაც მეტად თვალსაჩინო გახდა მცხეთის არქეოლოგიური გათხრების შედეგად. ცხადია, როგორც ებრაულის, ისე არამეული ენების შესწავლა ქართველოლოგიის პრინციპებიდან გამომდინარეობს. ამ ენების შესწავლისადმი ინტერესი არის არა მხოლოდ საკუთრივ ებრაული თუ არამეული ენების სტრუქტურისა და ისტორიის კვლევა, არამედ მათი შესწავლა უწინარესად იმდენად, რამდენადაც ეს სჭირდება ჩვენი კულტურის ისტორიას, იქნება ეს ქართული ენის, ქართული დამწერლობის ისტორია თუ ქართული კულტურის ისტორიის საკითხები.

სამაგისტრო პროგრამა ებრაულ-არამეულ ფილოლოგიაში მიზნად ისახავს ბაკალავრიატში მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების გაღრმავებასა და დახვეწას სათანადო საგნების დაუფლებით, რაც კარგ საფუძველს მისცემს სამეცნიერო, კერძოდ, სემიტოლოგიის დარგში მომუშავე მაგისტრს. პროგრამა საშუალებას აძლევს მაგისტრანტს იმისათვის, რომ მისი სამეცნიერო და პრაქტიკული ინტერესები რაც შეიძლება ფართო იყოს სპეციალიზაციის შესაძლებლობებთან ერთად.

პროგრამაში წარმოჩენილია არცთუ ვიწრო სფერო, რომელიც შეთავაზებულია მაგისტრანტებისათვის. ესენია: ზოგადი ბიბლეისტიკა ქართულ პრობლემატიკასთან ერთად (ბიბლიის ქართული თარგმანის ძველი პლასტები), ებრაულ-არამეული ენების სტრუქტურა, სემიტურ-ქართული ენობრივი და ლიტერატურული ურთიერთობანი, არამეული ეპიგრაფიკა საქართველოში, არამეული კულტურის კერები და ადრექრისტიანული პრობლემატიკა, თანამედროვე ებრაული ენა და ლიტერატურა, ტექსტოლოგია და ტექსტუალური კრიტიკა.

სამაგისტრო პროგრამის აქტუალობას უდავოდ განაპირობებს საქართველოში მნიშვნელოვანი ებრაული და არამეული დიასპორების არსებობა.

ებრაულ-არამეული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამით მომზადებულ მაგისტრს ეძლევა შესაძლებლობა, დასაქმდეს სპეციალობით ან განაგრძოს სწავლა დოქტურანტურაში.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

- აღმოსავლეთმცოდნეობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ებრაისტიკა-არამეისტიკის სპეციალობით ან ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სოციალ-პოლიტიკურ მეცნიერებათა

ბაკალავრის ხარისხი ებრაული ენის იმ დონეზე ცოდნით, რაც საჭიროა მაგისტრატურაში შემოსასვლელი სასპეციალიზაციო გამოცდის ჩასაბარებლად.

- ერთიანი სამაგისტრო გამოცდა;
- უცხო ენის (ინგლისურის/ გერმანულის /ფრანგულის) B 1 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატით (სამაგისტრო პროგრამის დამთავრებამდე B 2 დონემდე ენის ცოდნის გაუმჯობესების პერსპექტივით).
- სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარების მსურველს მოეთხოვება გამოცდის ჩაბარება სპეციალობაში – ებრაული ენა – B_2 დონე.

სწავლის შედეგი

ცოდნა და გაცნობიერება

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული იძენს ფილოლოგიურ, კერძოდ ლინგვისტურ და ლიტერატურათმცოდნეობით კომპეტენციებს, დარგობრივ ცოდნას, სამეცნიერო – საკვლევი პრობლემური საკითხების შერჩევისა და გადაჭრის უნარს. მგისტრანტი ითვისებს ინტერდისციპლინური კვლევის მეთოდებს. აღმოსავლური ლიტერატურის ერთიან კულტურულ კონტექსტში გააზრების საფუძველზე შესაძლებელი ხდება ინტერკულტურული კვლევის ჩატარება, როგორც ლიტერატურათმცოდნეობის, ისე სემიტური ენათმეცნიერების დარგში.

ებრაული და არამეული ენების სტრუქტურული თავისებურებების ცოდნა ფონოლოგიურ, მორფოლოგიურ და სინტაქსურ დონეზე: ზოგადსემიტურ კონტექსტში ებრაული და არამეული ენების სტრუქტურული თავისებურებების გააზრება და ზოგად ლინგვისტური ერუდიციის გაღრმავება. ებრაული და არამეული ენების სხვადასხვა ენობრივი სისტემებისა და ქვესისტემების ცოდნა სხვა სემიტურ ენებთან მიმართებაში. აღნიშნულ ენებში დადასტურებული ცვლილებების ცოდნა და მათი გამოყვანა რეკონსტრუირებული პროტოსემიტური ბგერათშესატყვისობები დაცვისა და გამოყენების ბაზაზე.

მაგისტრანტს აქვს საფუძვლიანი ცოდნა ბიბლიის ხუთი გრაგნილის (ქებათა-ქება, იერემიას გოდება, რუთი, ეკლესიასტე, ესთერი) შესახებ. აცნობიერებს თითოეული წიგნის მნიშვნელობასა და ადგილს ბიბლიურ კორპუსში. მას აქვს ბიბლიის ტექსტზე პროფესიული დაკვირვებისა და ტექსტოლოგიური კვლევის უნარი. ბიბლიურ ლიტერატურაში გამორჩეული წიგნების ცოდნა მხატვრულ-ლიტერატურული, ისტორიოგრაფიული, კულტუროლოგიური თვალთახედვით.

მაგისტრანტს აქვს ცოდნა ედესისა და ნისიბინის აკადემიების შესახებ, რომელიც ითვლებოდა განათლებისა და კულტურის ცნობილ ცენტრებად მთელ შუამდინარეთში. ლექციების კურსის მოსმენის შედეგად მაგისტრანტი ასევე შეიძენს ცოდნას ქრისტიანული მწერლობის ამ უძველეს კერებში მიმდინარე ლიტერატურული პროცესების შესახებ, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა და მნიშვნელოვნად განაპირობა აღმოსავლეთის ქრისტიანული მოსახლეობის ლიტერატურული კონტაქტები. ლექციების კურსის შედეგად შეძენილი ცოდნის საფუძველზე მაგისტრანტს შეუძლია სირიული უძველესი ქრისტიანული მწერლობის და ძველი ქართული მწერლობის სხვადასხვა ჟანრის თხზულებების კომპარატიული კვლევა.

არამეული (სირიული) ლექსწყობის სისტემასთან დაკავშირებული საკითხების მახვილის თეორიის, ინტონაციის, მარცვლების წარმოქმნის და ამ მოვლენების ნაწილობრივი წერილობითი ფიქსაციის ცოდნა. სირიული ლექსის სტრუქტურის კვლევა არა მხოლოდ საკუთრივ სირიული ლექსწყობის, არამედ ადრებიზანტიური ხანის პოეზიის

ჩამოყალიბებებისა და აგრეთვე ქართული ლექსის სპეციფიკის მთელი რიგი ნიშნების დადგენისა და სირიულ-არაბულ ვერსიფიკაციასთან ქართული ლექსის შეხების მომენტების გამოვლენა და ცოდნა.
ბიბლიის ებრაულის მორფოსინტაქსის ისეთი რთული უბნების ცოდნა, როგორიცაა ოპტატიური, ასევერაციული, მიზეზის, განმარტებითი წინადადებების, რეალური და ირეალური პირობითი პერიოდები და ა.შ.
თანამედროვე ებრაულ ენაზე შექმნილი სოციალური, კულტურული და სხვ. ენობრივი ნიშნებით განსხვავებული ტექსტების დამუშავება-შესწავლა. ებრაულ წინადადებაში სინტაქსური წყვილების გამორჩევა და წინადადების წევრთა კორელაციის განსაზღვრა. სალიტერატურო ებრაულით შესრულებული თანამედროვე ებრაული ტექსტების სინტაქსურ სირთულეში გარკვევის უნარი.
არამეული (სირიული) ენის მორფოსინტაქსისა და სინტაქსის საფუძვლების ცოდნა. სტატუსების არქაული ფორმების სხვადასხვა ფუნქციით გამოყენება: სტატუსების შეკვეცილი, ფორმათა ხმარება და სხვა თავისებურებების ცოდნა. ზმნის რთული დროების ცოდნა. წინადადების სტრუქტურა, ნომინალური წინადადების ფორმალური და სემანტიკური კლასიფიკაციის ცოდნა.
ტექტუალური კრიტიკის ზოგადი და სპეციფიკური სფეროების ცოდნა, სხვადასხვა ჟანრის ლიტერატურული თხზულებების კითხვის გამოცდილება ავტორის თუ ჟანს სტილისტიკაში გარკვევის შესაძლებლობას აძლევს მაგისტრანტს.
იუდაური რელიგიის სფეროს ცოდნა. მაგისტრანტს აქვს ცოდნა იუდაიზმის, როგორც რელიგიური აზროვნების ფორმირების შესახებ ბიბლიური ეპოქიდან მოყოლებული ჩვენს თანამედროვეობამდე. შეძენილი ცოდნის საფუძველზე მაგისტრანტს შეუძლია ებრაული თვითმყოფადობის რთული საკითხის გაცნობიერება და ასევე იუდაიზმის ქრისტიანულ რელიგიასთან მიმართების გაანალიზება.
სინქრონული თარგმანის კურსის მოსმენისას ყურადღება გამახვილებულია მყარ ოფიციალურ ენობრივ ფორმულებსა და გამოთქმებზე, რომელთა გათავისება აუ-ცილებელია თარჯიმნისთვის.

პრაქტიკული უნარი

მშობლიურ და უცხო ენაზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის განხორციელების, დარგობრივ საკითხებზე დისკუსიის წარმართვისა და კრიტიკული შეხედულებების გამოხატვის უნარი.
აღმოსავლური ლიტერატურული ძეგლების შესწავლა ტექსტოლოგიური, მხატვრულ – ლიტერატურული, ბიბლიოლოგიური, ისტორიოგრაფიული თუ კულტუროლოგიური თვალთახედვით, საშუალებას აძლევს მაგისტრანტს შეიმუშავოს ლიტერატურული ძეგლებისადმი კომპლექსური მიდგომის უნარი. ის იძენს ფილოლოგიური კვლევის სხვადასხვა მეთოდების გამოყენებისა და კვლევის შედეგების შეჯერების უნარს, ტექსტების გამართულად თარგმნის უნარს. მაგისტრანტს შეუძლია შეძენილი კომპეტენციების სამეცნიერო ან უმაღლეს სასწავლო დასწესებულებებსა თუ პრაქტიკულ, კონკრეტულ გარემოში გამოყენება.

დასკვნის უნარი

სამაგისტრო პროგრამა ორიენტირებულია მაგისტრანტს გამოუმუშაოს პრობლემის გამოკვეთის, მისი კომპლექსურად შესწავლისა და არგუმენტირებული დასკვნის გამოტანის უნარი. საკითხისადმი კრიტიკული მიდგომის, ანალიზისა და სინთეზის უნარი. მაგისტრანტი შეძლებს კონკრეტული მასალის ფილოლოგიურ-ისტორიული კვლევის შედეგად სათანადო დასკვნების გამოტანას, დაეუფლება ტექსტოლოგიური მუშაობის მეთოდიკას, გამოუმუშავდება კომპარატიული კვლევის, ფაქტობრივი მასალის შეპირისპირების შედეგად დასკვნების ჩამოყალიბების უნარი.

კომუნიკაციის უნარი

ქართული და აღმოსავლური კულტურების შესწავლის საფუძველზე ზოგადი და განსხვავებული პერსპექტივების გააზრების, ტექსტოლოგიური კვლევის, ანალიზის და სინთეზის, კვლევის შედეგად მიღებული საინფორმაციო ბაზის შექმნის უნარი, მონაცემთა ბაზის შედგენის და მისი საძიებლებითა და ინდექსებით უზრუნველყოფის, დამოუკიდებელი კვლევისათვის აუცილებელი ბიბლიოგრაფიის მომზადების უნარი უახლესი საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით. ექნება მულტიმედიური კომპეტენცია, რომელიც ხელს შეუწყობს ზოგადად სემიტოლოგიური პრობლემატიკის კვლევისას მათ შემოქმედებით და კრიტიკულ გამოყენებას.

სწავლის უნარი

სამაგისტრო პროგრამის დასრულების შედეგად შეძენილი ცოდნა და კვლევის უნარი მაგისტრანტს აძლევს შესაბამის სფეროებში დამოუკიდებელი ორიენტაციის, სამეცნიერო კვლევისა და პრობლემების გამოკვეთის შესაძლებლობას. ის შეძლებს სწავლის პროცესის დამოუკიდებლად წარმართვას კომპარატივისტული, დესკრიპციული და ტიპოლოგიური მეთოდების თავისებურებების გაცნობიერებით და შემდგომი კვლევების სტრატეგიულად დაგეგმვით.

ღირებულებები

ღირებებულებისადმი საკუთარი და სხვათა დამოკიდებულების კრიტიკული განსჯა, მისი დამკვიდრების გზების ძიება. როგორც აღმოსავლური, ისე ზოგადად სხვადასხვა კონფესიების თანაარსებობის და ურთიერთდამოკიდებულების ამსახველი სათანადო წყაროების, ლიტერატურული ძეგლების, ტექსტების შესწავლის საფუძველზე ჩამოუყალიბდება შემწყნარებლური დამოკიდებულება სხვადასხვა რელიგიის მიმართ.

შეძენილი ცოდნის საფუძველზე შეძლებს ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში გარკვეული წვლილის შეტანას მაღალი აკადემიური დონის და პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვის მეშვეობით.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, სემინარის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, თარგმანის, სამაგისტრო ნაშრომის, დასკვნითი გამოცდის და სხვ. ფორმატში იყენებს სწავლებისა და სწავლის სხვადასხვა მეთოდს (ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, მასალის დაკონსპექტება, ანალიზი და სინთეზი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ჯგუფური მუშაობა და სხვ.)

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:
სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად:
91-100 - ფრიადი, A;
81-90 –ძალიან კარგი, B;
71-80– კარგი, C;
61-70–დამაკმაყოფილებელი, D;
51-60–საკმარისი, E;
41-50– ვერ ჩააბარა, FX;
0-40 – ჩაიჭრა, F. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით.

დასაქმების სფეროები

აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულები შეიძლება დასაქმდნენ სხვადახვა კვლევით და სასწავლო დაწესებულებებში. მათ შეუძლიათ, იმუშაონ დიპლომატიურ სამსახურში, საელჩოებსა და საგარეო საქმეთა სამინისტროში, რადიოსა და ტელევიზიაში, ჟურნალ-გაზეთების რედაქციებსა და გამომცემლობებში, ბიბლიოთეკებში, საქართველოს საპატრიარქოსთან არსებულ სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში, არასამთავრობო სტრუქტურებში, მუზეუმებში, არქივებში. მაგისტრატურის კურსდამთავრებულებს შეუძლიათ იმუშაონ თარჯიმნებად. დღეს საქართველოში მრავალი ებრაული და ქართულ-ებრაული ორგანიზაცია არსებობს, ამდენად კვალიფიციურ ებრაისტზე მოთხოვნა დიდია.

სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა
იხ. დანართი #1

სასწავლო კურსების სილაბუსები
იხ. დანართი #2

პროგრამის ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. მარიამ ჩაჩიბაია.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსები:
ებრაულ-არამეული ფილოლოგიის განყოფილება წარმოდგენილია კვალიფიციური კადრებით. პროგრამის სავალდებულო საგნებს წაიკითხავს თსუ ებრაისტიკა-არამეისტიკის დეპარტამენტის 2 ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი, ხოლო არჩევით საგნებს წარუძღვებიან მოწვეული სპეციალისტები და თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სხვადასხვა პროგრამაში მონაწილე პროფესორ-მასწავლებლები (იხ. დანართი #3).

1. **მარიამ ჩაჩიბაია**

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულების ებრაულ-არამეული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი.

2. **მამუკა ბუცხრიკიძე**

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ებრაისტიკა-არამეისტიკის დეპარტამენტი.

3. მარინა მეფარიშვილი
ილიას უნივერსიტეტის გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სემიტოლოგიის განყოფილების ასოცირებული მკვლევარი

4. დარეჯან თვალთვაძე
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ფილოლ. მიმართულების ასოც. პროფ.

5. ბეჟან ჯავახია
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ისტორიის დოქტორი, სრული პროფესორი, მედიევისტიკის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი.

6. რისმაგ გორდეზიანი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი, სრული პროფესორი

7. ანა ხარანაული
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ფილოლ. მიმართულების ასოც. პროფ.

8. ელენე გიუნაშვილი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ასისტენტ-მკვლევარი

9. თენგიზ ირემაძე
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სრული პროფესორი (სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამისა და ფილოსოფიის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი), ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი.

10. ქეთევან აბესაძე
თსუ ენების ცენტრი

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსები:

ებრაულ-არამეული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტის განკარგულებაშია საერთო საუნივერსიტეტო საბიბლიოთეკო და კომპიუტერული რესურს–ცენტრები, ამასთანავე ებრაულ-არამეული ფილოლოგიის დეპარტამენტის კუთვნილი ორი აუდიტორია აღჭურვილია სასწავლო აუდიო საშუალებებით (მაგნიტოფონი, აუდიო კასეტები, კომპიუტერი, ინტერნეტი, კომპაქტ-დისკები); სასწავლო პროცესის მოთხოვნების გათვალისწინებით დეპარტამენტი ისრა-ელიდან ყოველწლიურად იღებს სახელმძღვანელოებსა და სამეცნიერო გამოცემებს, აგრეთვე, პერიოდულ პრესას.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **ებრაულ-არამეული ფილოლოგიის** სამაგისტრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა

ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას.

საგამოცდო საკითხები

ებრაული ენა

1. ებრაული ენის განვითარების ეტაპები: ძველი ებრაული (ბიბლიის ებრაული), საშუალო ებრაული (მიშნის ებრაული) და ახალი ებრაული.
2. ებრაული ენის სტრუქტურა.
3. ებრაული დამწერლობა, კვადრატული ანბანი, კურსივი, "რაში".
4. კითხვის ნიშნები; ხმოვნის ნიშნები, ტიბერიული ვოკალური ნიშნები, მახვილის ნიშნები.

ფონეტიკა–ფონოლოგია

1. ებრაული კონსონანტიზმი. თანხმოვანთა კლასიფიკაცია არტიკულაციის მიხედვით. ემ-ფატიკური თანხმოვნები, გუტურალი თანხმოვნები, სუსტი თანხმოვნები. განსხვავება თანხმოვანთა ძველსა და თანამედროვე წარმოთქმას შორის.
2. ვოკალიზმი. გრძელი ხმოვნები, მოკლე ხმოვნები, ულტრამოკლე ხმოვნები, დიფთონგები. მარცვალი, მახვილი და პაუზა.
3. ფონეტიკური მოვლენები. თანხმოვანთა ასიმილაცია და დისიმილაცია, ხმოვანთა ასიმი-ლაცია და დისიმილაცია, თანხმოვანთა გემინაცია, მეტათეზისი, ბგერათდაკარგვის შემთხვევები.

მორფოლოგია

I სახელი

1. სახელის ძირითადი ტიპები. სახელის ძირი და ფუძე. სახელის წარმოება პრეფიქსაციით, აფიქსაციით, სახელის კნინობითი ფორმები.
2. არტიკლი.
3. ნაცვალსახელი: პირის, ჩვენებითი, კითხვითი, განუსაზღვრელი, მიმართებითი. ნაცვალ-სახელური სუფიქსები.
4. სახელის კატეგორიები. რიცხვი, სტატუსი, ბრუნება.
5. სახელის ფლექსია. სახელი ნაცვალსახელური სუფიქსებით. ვოკალური ცვლილებანი სახელებში. სეგოლატები. თავისებური სახელები.
6. ზედსართავი სახელი. ზედსართავი სახელის ხარისხი.
7. რიცხვითი სახელი. რაოდენობითი, რიგობითი, წილადები. რიცხვის გამოხატვა ასონიშნებით. ებრაული წელიწადი. სამოქალაქო წელიწადი. საათი.

II ზმნა

1. ზმნების კლასიფიკაცია. ზმნის კატეგორიები: პირი, სქესი, რიცხვი, დრო-კილოები, გვარი.
2. ზმნის თემები.

3. ზმნის ფლექსია. Qal – ძირითადი თემა. პერფექტივი, იმპერფექტივი, იმპერატივი, კოჰორტატივი, პირობითი კილო. ინფინიტივი და მიმღეობა.
4. ზმნის ფლექსია ნაწარმოებ თემებში.
5. გუტურალიანი ზმნები.
6. შემჭიდროებული ზმნები (פ נ, פ י). გემინირებული ზმნები.
7. სუსტი ზმნები. ორმაგად სუსტი ზმნები.
8. ოთხთანხმოვნიანი ზმნები. ოთხთანხმოვნიანი სუსტი ზმნები.
9. დეფექტური ზმნები.
10. ზმნები ნაცვალსახელური სუფიქსებით.

III ზმნიზედა.
IV წინდებულები.
V კავშირები.
VI ნაწილაკები.
VII შორისდებულები.

სინტაქსი

I შესიტყვება. ნომინალური შესიტყვება, ვერბალური შესიტყვება, ადვერბიალური შესიტყვება.

II მარტივი წინადადება.

1. წინადადების ძირითადი სახეები (ნომინალი, უკუთქმითი, ბრძანებითი, ნატვრითი).
2. წინადადების მთავარი წევრები.
3. წინადადების წევრთა თანამიმდევრობა.
4. წინადადების წევრთა სინტაქსური ურთიერთობა.

III რთული წინადადება. თანწყობილი, ქვეწყობილი და პირობითი წინადადებები.

ლიტერატურა:

1. Paul Joüon , S.J. A Grammar of Biblical Hebrew, Translated and Revised by T. Muraoka, Volume II, Part Three: Syntax, Rome, 1996.
2. Brockelmann C., Hebräische Syntax, Neukirchen, 1956
3. אביב, 2003 אסתר בהט, ליאורה ויינבך, עדנה לאודן, עברית מאלף עד תיו, רמה - ד', אוניברסיטת תל